

ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ამირან ქანთარიას მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის(პერიოდი:2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე) მოსახლეობისთვის წარდგენის

ოქმი № 1

მუნიციპალიტეტის დასახელება: ღანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: ღანჩხუთი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 23.10.2015 წელი 16:00

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრი ამირან ქანთარია, საკრებულოს წევრი რომან ბიწაძე, საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიდიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით კიკაბიძე, საკრებულოს აპარატის სამდივნოს სპეციალისტი მარიამ კუპრაძე.

ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ამირან ქანთარია ღანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში შეხედა ადგილობრივ მოსახლეობას. მან აღნიშნა, რომ არის უმრავლესობის წევრი, „ქართული ოცნება მრეწველების ფრაქციის“ წევრი, ორი კომისიის „სამანდატო-საპროცედურო, თურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ და „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის“ წევრი.

მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდა ორივე კომისიის მუშაობაში და მუ თვლას, რომ ხშირ შემთხვევაში ძალიან აქტიურიც იყო. კომისიებში შემოსულ თითქმის ყველა საკითხში იღებდა მონაწილეობას. თურიდიულ საკითხთა კომისიაში განხილული იქნა 66 საკითხი, კომისიამ შეიმუშავა 6 ნორმატიულ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტი. კომისიამ შეისწავლა ისეთი საკითხებიც, რომელიც საკრებულოს სხდომებზე არ გასულა განსახილველად, მაგ. ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით სამი საკითხი- ორი მათგანი გადაწყვედა დადებითად და მრავალი სხვა. კომისიაში შესწავლილ იქნა მოსახლეობის საჩივრები და განცხადებები.

რაც შეეხება „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას“ ჩატარებული აქვს 18 სხდომა. მათ უმრავლესობაში მიღებული აქვს მონაწილეობა. განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა მაშინ, როცა საკითხი ეხებოდა ჯანდაცვის სფეროს, რადგან ამ სფეროში მუშაობის 37 წლის გამოცდილება გააჩნია.

მოკლედ განმარტა, თუ რა სიკეთე მოუტანა ქართულმა ოცნებამ ქვეყანას წინა ხელისუფლებასთან შედარებით. არჩევნებში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მოსვლის შემდეგ (2012 წლის ოქტომბრიდან) დაიწყო დემოკრატიული პროცესები, მაგ. დღეს ქვეყანაში არის სიტყვის ნამდვილი თავისუფლება, თუნდაც აქ საკრებულოში ვერაფერს ვერ ავიკრძალავს რომელიმე თემაზე საუბარს, ან რომელიმე საკითხთან მიმართებაში მხარდაჭერას. ქვეყანაში დაიწყო სამართლიანობის აღდგენა, არ ტერორდება ბიზნესი, არაფერს არაფერს არ ართმევს ქონებას, თუმცა ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. განსაკუთრებულად აღსანიშნავია ჯამრთელობის დაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმა, რომელიც საყოველთაოდაა აღიარებული.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა მაგული კვაჭაძე-ქანთარია აღნიშნა, რომ მის საკუთრებაში არსებული სამედიცინო კლინიკა „ჯამრთელობა“ მდებარეობს სამედიცინო კლინიკა „ავერსის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, იქვე მდებარეობს ბენზინგასამართი სადგურიც. „ავერსმა“ მოსახლისგან შეიძინა მისი კლინიკის მიმდებარე არსებული მიწის ნაკვეთი და იქ აშენებს სამშობიარო სახლს, რის გამოც ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდება მისი ბიზნესი. ფაქტიურად „ავერსის“ მხარეს აღარ რჩება მანქანის სადგომი და ძალაუფლებურად იქ მისული მშობიარეები და მათი გულშემატკივრები მის კლინიკასთან გააჩერებენ მანქანებს. შეიქმნება როგორც გასაღვლედი გზის, ასევე სისუფთავის პრობლემა, იქნება ხმაური და ა.შ. მისი, როგორც ამომრჩეველის თხოვნა იქნება, გამოიყოს ბიუჯეტიდან თანხა რაიონის სამშობიარო სახლის გასარემონტებლად. ამით თავიდან იქნება აცილებული ზედმეტი პრობლემები და საავადმყოფოც გადაარჩება განადგურებას.

ამ საკითხს გამოეხმაურა დეპუტატი აკაკი იმნაიშვილი და აღნიშნა, რომ განვითარებულ ქვეყნებში საავადმყოფოები განლაგებულია ქალაქგარეთ- სიმწვანეში და წვეთთანაც უპრიანი იქნება თუ ახალი საავადმყოფოები ქალაქგარეთ აშენდება. დეპუტატი ასევე გამოეხმაურა საფეხბურთო კლუბ „გურიას“ თემას. ის ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მუნიციპალიტეტის მწირი ბიუჯეტი ვერ გაწვევდა უმადლესი დივის გუნდის დაფინანსებას, მაგრამ გამოთქვა იმედი, რომ ახლადარჩეული ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობა გამოინახავს რაიმე გზას გუნდის დასახმარებლად და წინა წლებში გაწეული დახმარებაც არ ჩაიყრება წყალში.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა აივენგო მეგრელიშვილმა და გიზო ვლენტმა ითხოვეს კოსტავას ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა გულეანი ხუხუნიაშვილმა აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის ქუჩაზე აეარიულ მდომარეობაშია გზის საფარი და საჭიროებს რეაბილიტაციას. ასევე მოითხოვა დახმარება თანხმობა მიიღოს ხეების გადაბელებაზე. ძლიერი ქარის დროს მის სახლს დაუცა ნაძუ. ახლა კი ფისო შეიშვილის სახლთან არის ცაცხვი, რომლის ფესვებიც სახლამდეა მისული და შეიძლება დაახინოს საძირკველი.

ადგილობრივი მაცხოვრებელი ვანო ხუხუნიაშვილი დაინტერესდა თუ რატომ არ არის ქალაქში საპირფარეო.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა თამაზ ივანიკოვმა მოითხოვა ქალაქში სასმელი წყლის სოკების ფუნქციონირება.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა დურმიშხან ჩხაიძემ მადლობა გადაუხადა დეპუტატ ამირან ქანთარიას ყურადღებისათვის და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას, რომ უმჯობესი იქნება თუ ყველა გააკეთებს თავის საქმეს.

დეპუტატმა ამირან ქანთარიამ მადლობა გადაუხადა ხადხის მათთვის ასე საჭირო დროის დათმობისთვის და დაპირდა, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად შეეცდება მოსახლეობის პრობლემების წარმოჩენას და მოგვარებას.

პატივისცემით,

საკრებულოს წევრი



ამირან ქანთარია